**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 26.02.2025**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 19:44 სთ**
**სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე**
**საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **გოჩა თუთბერიძე -** შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი **- სხდომის თავმჯდომარე;**
2. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
3. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. **აკაკი ხელაძე –** სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **დიმიტრი ჯაფარიძე –** სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
8. **ვასილ კიკუტაძე -** შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
9. **დიანა მჭედლიშვილი –** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ქეთევან ნანობაშვილი –** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის " ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **თამარ ტუფინაშვილი –** შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
13. **ხათუნა თოდაძე –** სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ქრისტინე აბულაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

***შპს კავკასიის უნივერსიტეტი:***
ბორის ლეჟავა, ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, მარკეტინგის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
დიანა მჭედლიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ელენე ჯღარკავა, ბიზნესის სკოლის დეკანი;
მარიამ ჯინჭველეიშილი, სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი;
დავით წიკლაური, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;
თენგიზ ვერულავა, ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
სალომე გავაშელიშვილი, ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამების ადმინისტარციული დირექტორი;
თათია მაისურაძე, ერთობლივი პროგრამების ადმინისტარციული დირექტორი;
ნოემი დესპრე, Noemie Desprez, რენის ბიზნესის სკოლის, საბაკალავრო პროგრამის დირექტორი;
ეკა აკობია, სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ემირ ეთერია, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ია წულუკიძე, სახელმწიფო მართვის სკოლის საბაკალავრო პროგრამების ადმინისტარციული დირექტორი;
ალუდა გოგლიჩიძე, განათლების სკოლის დეკანი, განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი მაჩაბელი, განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ნათია ქორქაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენის მენეჯერი.

***შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:***
თეიმურაზ სართანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ელისაბედ ბალიაშვილი - პროფესორი;
გიორგი სუბელიანი - ასოცირებული პროფესორი;
ემილია ალავერდოვი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი.

**აკრედიტაციის ექსპერტები:**
მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) (I, III საკითხები);
თამაზ უზუნაშვილი (I საკითხი);
ზაქარია ქიტიაშვილი (I საკითხი);
სოფიო ლებანიძე (I საკითხი);
მაია ჭინჭარაშვილი (I საკითხი);
ქრისტინე ჩიხლაძე (I საკითხი);
ნათია გეგელაშვილი (I საკითხი);
რევაზ გერაძე (II საკითხი);
დავით სიხარულიძე (II საკითხი);
სანდრო ტაბატაძე (II საკითხი);
ნათია დაღელიშვილი (II საკითხი);
ვაჟა კელიხაშვილი (II, III საკითხები);
ეკატერინე ნაცვლიშვილი (III საკითხი);
ეკა გეგეშიძე (III საკითხი);
ია ნაცვლიშვილი (III საკითხი).

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა გოჩა თუთბერიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "მარკეტინგის" ინგლისურენოვანი სადოქტორო, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) "ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ დააყენა შუამდგომლობები რიგი უნივერსიტეტების მიერ მოწერილი კორესპონდენციების საფუძველზე, სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა "ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ საბაკალავრო; „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საბაკალავრო და „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების (240 კრედიტი) სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ და „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "მარკეტინგის" ინგლისურენოვანი სადოქტორო, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) "ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**პირველი საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა "ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა ვასილ კიკუტაძემ და გიორგი ღაღანიძემ.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ აკრედიტაციის საბჭოს განეხილა დაწესებულების მიერ განხორციელებული "ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სემესტრის დასრულებამდე ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საკითხი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრში საააკრედიტაციოდ უკვე წარმოდგენილია პროგრამა, რომელიც გახდება არსებული პროგრამის სამართალმემკვიდრე, შესაბამისად საბჭოს წინაშე დადგა შუამდგლომლობა რომ პროგრამაზე ხუთი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს მიეცეთ შესაძლებლობა აკრედიტებულ რეჟიმში პროგრამის დასრულებისათვის, აქვე დააზუსტა, რომ მიმდინარე სემესტრი უკვე დაწყებული იყო, ვინაიდან აკადემიური რეგისტრაციები დაწესებულებაში დაიწყო 5 თებერვალს, რომელიც სემესტრის ნაწილი იყო უნივერსიტეტისათვის, ხოლო სემესტრი აკადემიური კალენდრის მიხედვით სრულდებოდა 28 ივნისს.

სხდომის თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი

**კენჭისყრა:**
მომხრე-11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "ტრანსფორმაცია და კონსულტირების" სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 28 ივნისის ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**მეორე საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის შუამდგომლობა „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)" საბაკალავრო;

„ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საბაკალავრო და „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა. კერძოდ „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საბაკალავრო და „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამები დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციის 2024-2025 აკადემიური კალენდრის მიხედვით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი იწყებოდა 2025 წლის 24 თებერვალს და სრულდება 2025 წლის 1 აგვისტოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრა:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” $27^8$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (240 კრედიტი) სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო**

**აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამა დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში**

**კენჭისყრა:**
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სხდომის თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამა დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში.

**კენჭისყრა:**
მომხრე -12
წინააღმდეგი- 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სხდომის თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამა დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში

**კენჭისყრა:**
მომხრე -12
მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის

შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (240 კრედიტი) სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**მესამე საკითხი:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“, „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ და „ციფრული მარკეტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა თამარ ტუფინაშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა მიმდინარე 240 კრედიტიანი პროგრამების შესახებ, კერძოდ, „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ (240 კრედიტი), „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ (240 კრედიტი) და „ციფრული მარკეტინგის“ (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამები დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რომ ინსტიტუციის 2024-2025 აკადემიური კალენდრის მიხედვით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის 2024-2025 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი იწყებოდა 2025 წლის 26 თებერვალს და სრულდება 2025 წლის 27 ივლისს.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამები დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში**

**კენჭისყრა:**
მომხრე-12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ (240 კრედიტი) საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 27 ივლისის ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამები დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში**

**კენჭისყრა:**
მომხრე-12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 27 ივლისის ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამები დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში**

**კენჭისყრა:**
მომხრე-12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ციფრული მარკეტინგის" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 27 ივლისის ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა ხათუნა თოდაძემ.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

სსიპ - თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ,,ფარმაციის მენეჯმენტის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ამა წლის პირველ მარტს გასდიოდა აკრედიტაციის ვადა, ამჟამად მიმდინარეობდა პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესი. ასევე, აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით პროგრამაზე ირიცხებოდა 15 აქტიური სტუდენტი, ხოლო დაწესებულებაშ გაზაფხულის სემეტრის ადინისტრაციული რეგისტრაცია დაიწყო მიმდინარე წლის 24 თებერვალს.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა ,,ფარმაციის მენეჯმენტის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პროგრამა დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში, ასევე, მისი თქმით, გაზაფხულის სემესტრი იწყებოდა 2025 წლის 24 თებერვალს და სრულდება 2025 წლის 22 ივლისს.

**კენჭისყრა:**
მომხრე-12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და ,,ფარმაციის მენეჯმენტის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 22 ივლისის ჩათვლით) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**მეხუთე საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო, "მარკეტინგის" ინგლისურენოვანი სადოქტორო, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო, "განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**პროგრამა №1**
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი;
**საფეხური**: ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

**სწავლების ენა**: ქართული;
**კრედიტების რაოდენობა**: 180

**პროგრამა №2**
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი;
**საფეხური**: ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა**: ინგლისური
**კრედიტების რაოდენობა**: 180

**პროგრამა №3**
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ჯანდაცვის მენეჯმენტი
**საფეხური**: ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა**: ქართული
**კრედიტების რაოდენობა**: 180

**პროგრამა №4**
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** მარკეტინგი
**საფეხური:** დოქტორანტურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მარკეტინგის დოქტორი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა:** ინგლისური
**კრედიტების რაოდენობა:** 60

**პროგრამა №5**
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** საჯარო მმართველობა
საფეხური: ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტების რაოდენობა:** 60

**პროგრამა №6**
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** განათლების ლიდერობა და მენეჯმენტი
**საფეხური**: მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: განათლების მენეჯმენტის მაგისტრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა**: ქართული
**კრედიტების რაოდენობა**: 120

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
საერთაშორისო ექსპერტი აბდულ რაუფი მიესალმა საბჭოს წევრებს, დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ პირველი და მეორე პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის პირველ და მე-5 სტანდარტებთან, ხოლო შესაბამისობაშია მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან. ესამე, მეოთხე და მეხუთე პროგრამები მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის მე-5 სტანდარტთან, ხოლო შესაბამისობაშია პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან.
აერთშორისო ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფი შთაბეჭდილების ქვეშაა ინსტიტუციის მიერ მოწოდებული მასალის გაცნობის, ასევე მათგან მიღებული უკუკავშირის მიღების შედეგად ადგილზე ვიზიტის დროს. ქსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელთა გაუმჯობესებაც შესაძლებლია. ქსპერტთა პანელმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რჩევები და წინადადებები, თუმცა რჩევების გათვალისწინება რასაკვირველია არ არის სავალდებულო უნვერსიტეტის მხრიდან. პირველი ზოგადი რეკომენდაცია გაიცა 5.1. კომპონენტთან მიმართებით ,,რეკომენდებულია, პერსონალს მიეწოდოს ინფორმაცია პროგრამების შემუშავების, ცვლილებების განხორციელების და შეფასებების ჩატარების მექანიზმების და პროცედურების შესახებ.'' "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამასთან და ასევე "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო მსგავსი რეკომენდაციები. 1.5 კომპონენტთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია ,,რეკომენდებულია, საბანკო საქმის, ფინანსური ტექნოლოგიების საფუძვლების სილაბუსების სწავლის შედეგების გრაფაში გამოყენებული იყოს აქტიური ზმნები''. 1.4. კომპონენტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, ,,იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის დაშვების კრიტერიუმებში არ არის მოთხოვნილი ჯანდაცვის საფუძვლების ან ზოგადი ცოდნა, რეკომენდებულია, პროგრამაში არჩევითი კურსის ნაცვლად სამედიცინო ტერმინოლოგიის კურსი შეთავაზებული იყოს პირველ სემესტრში, როგორც სავალდებულო კურსი''. რეკომენდაციები არ გაიცა მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პროგრამებთან დაკავშირებით. ბდულ რაუფმა აღნიშნა რომ აკრედიტაციის სტანდარტებს სრულად ან მეტწილად აკმაყოფილებას წარმოდგენილი პროგრამები. ასევე მისი თქმით, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შემდგომ ექსპეტების მიერ მოდიფიცირდა ერთი რეკომენდაცია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.**

დაწესებულების წარმომადგენელი ბორის ლეჟავა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისათვის. ან აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველთვის მზად არის ღირებული რჩევების და რეკომენდაციების გაზიარებისთვის. ისი თქმით, მეხუთე სტანდარტში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, მხოლოდ 5.1 კომპონენტი იყო ,,მეტწილად'' შესაბამისი, ხოლო სხვა დანარჩენი კომპონენტები სრულად შესაბამისი, აღნიშნულის გათვალისწინებით, მთლიანი სტანდარტი უნდა იყოს შეფასებული როგორც ,,სრულად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. ან ასევე აღნიშნა რომ მრავალი წელია ინსტიტუცია ჩართულია აკადემიური პროგრამების შემუშავებაში, მოდიფიცირებასა და გაუქმებაში, შესაბამისად დაწესებულებაში არსებობს ნორმატიული ბაზა, რომელიც არეგულირებს ამ საკითხებს. რაც შეეხება იმპლემენტაციას, მისი თქმით, საგულისხმოა, რომ პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, ვინაიდან უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული სისტემა, რომელშიც ყველა მონაწილე აუცილებლად უნდა იყოს ჩართული, მასში ყველა პირს თავისი დაშვება აქვს და ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს პროგამის შემუშვებაში და მოდიფიცირებაში. ან ისაუბრა ზოგადი ტიპის რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება საუნივერსიტეტო ფუნქციონირებას, ასევე საგულისხმოა რომ აკრედიტაცის პროცესი მრავალმა პროგრამამ გაიარა, მათ შორის ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამებმა, სადაც 5.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ,,სრულად შესაბამისი''' სტანდარტის მოთხოვნებთან. შესაბამისად ითხოვა აღნიშნული რეკომენდაციის გადახედვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე ჯღარაკავამ ისაუბრა პირველ და მეორე პროგრამებთან მიმართებით გაცემულ მეორე რეკომენდაციაზე, რომელიც უკავშირდება ტექნიკურ საკითხებს, ორ მითითებულ სილაბუსში ტექნიკური ხასიათის შესწორებების შეტანას. მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამასთან მიმართებით სააკრედიტაციო პაკეტი წარდგენილია 180 კრედიატიანი პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, პროგრამები იდენტურია, გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები სილაბუსების დამუშავების დროს, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვეში ექსპერტების მიერ აღინიშნა რომ არ არის გამოყენებული გაზომვადი ზმნები, აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირებულია მხოლოდ უცხო ენაზე შესრულებულ სილაბუსში, აქვე საგულისხმოა რომ კონკრეტულ კომპონენტთან მიმართებით ასევე გაცემული იყო რჩევები, რომლებიც დაწესებულების აგუმენტირებული პოზიციის შემდგომ მოიხსნა, შესაბამისად ამ ნაწილშიც დაწესებულება ითხოვდა გაცემული რეკომენდაციის გადახედვას, ვინაიდან მათი თქმით, ტექნიკური ხარვეზი დაშვებული იყო მხოლოდ ერთ-ერთ ენაზე შესრულებულ სილაბუსში.

პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით, პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით წიკლაურმა აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა ხუთი მიზანი, პირველი სამი მიზანი პრაქტიკული იყო და პასუხობდა პროფესიული კუთხით სტუდენტების მოთხოვნას, მეოთხე მიზანი, რომ პროგრამა უნდა ყოფილიყო თავსებადი საერთაშორისო პროგრამებთან, რათა ინტერაქცია ყოფილიყო მარტივი და ხდებოდეს სტუდენტების გაგზავნა ან მიღება სასწავლებლებში, მიაჩნიათ, რომ ფორმულირებული იყო მეტნაკლებად მისაღებად და მიზანი არსებული ფორმულირებით უნდა დარჩენილიყო. ან აღნიშნა, რომ მეხუთე მიზანი იყო შედარებით ზოგადი აქცენტით და მიზანად ისახავდა, რომ სტუდენტი, რომელიც დაასრულებდა პროგრამას, არა მხოლოდ სპეციალიზაციაში იყოს ძლიერი, არამედ ფასეულობები ჰქონდეს ჩამოყალიბებული, იყოს ეთიკური და ჰქონდეს ადაპტირებული ფასეულობები პრაქტიკაში. აწესებულების წარმომადგენლის აზრით, მიზანი მისაღებია იმ ფორმულირებით, რაც შეთავაზებული ჰქონდა დაწესებულებას.

ჯანდაცვის მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელმა, თენგიზ ვერულავამ აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო რეკომენდაცია. ისი თქმით, პროგრამის დაშვების

კრიტერიუმებით არ მოითხოვება ჯანდაცვის საფუძვლების ზოგადი ცოდნა, თუმცა პირველივე სემესტრიდან სავალდებულო კურსის სახით ისწავლება ,,ჯანდაცვის პოლიტიკის საფუძლები'', რომელიც სტუდენტს აძლევს ჯანდაცვის სისტემის მიმართ ზოგად ცოდნას, ხოლო კონკრეტული თემები შემდგომ სემესტრებში სიღრმისეულად შეისწავლება. ესაზამისად, წმინდა მედიცინის სამედიცინო ტერმინოლოგია ზედმეტია, ვინაიდან კურსი იყო ჯანდაცვის მენეჯმენტის და არა მედიცინის მიმართულებით, ასევე მისი აზრით, წმინდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სწავლა არ იყო რელევანტური. ასევე საგულისხმოა, რომ კურსზე უმეტესად, წარმოდგენილია მედიცინის სტუდენტები, რომელთაც ჰქონდათ სიღრმისეული ცოდნა მედიცინაში, ასევე არჩევითად იყო წარმოდგენილი სამედიცინო ტერმინოლოგიის კურსი და თუ კი სტუდენტი მიიჩნევდა, რომ მას აღნიშნული კურსი სჭირდება, შეუძლია აირჩიოს. ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდილება, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორის დონეზე და არც შესწავლილი პრაქტიკის მიხედვით არ არის მითითებული სავალდებულო კურსად ზემოაღნიშნული კურსი.

**სხდომის თავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათ,არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ გამოხატა მოწონება წარმოდგენილ პროგრამებთან მიმართებით. საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ,,სტრატეგიული მენეჯმენტი'' არ იყო სავალდებულო კურსად მითითებული პროგრამებში, ხოლო დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვდა სავალდებულო კურსად მის მითითებას. ასევე ექსპერტებისაგან მხრიდან მას აინტერესებდა, რა გახდა 5.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტაცია სრულყოფილად იყო წარმოდგენილი, ადმინისტრაციული პერსონალი სრულიად გათვიცნობიერებულია იმაში, თუ როგორ უნდა მართონ უნივერსიტეტი, განსაკუთრებით ხარისხის მიმართულებით, თუმცა აკადემიური პერსონალთან გასაუბრებაზე ვერ იქნა აღწერილი დეტალები, როგორ ხდებოდა პროგრამაში ცვლილებების შეტანა, რა იყო მათი თანამონაწილეობის წილი, ეგზავნებოდათ თუ არა ინფორმაცია და ხდებოდა თუ არა უკუკავშირის მიღება. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით აკადემიური პერსონალი არ იღებდა მონაწილეობას ამგვარ კომუნიკაციაში და დასმულ შეკითხვებს თავი არიდებდა. შესაბამისად, ეს იყო აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. სტუდენტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია რომ აკადემიური პერსონალი თანაბარწილად უნდა იყოს ჩართული რეკომენდაციით გათვალისწინებულ საკითხებში. ასევე აღინიშნა, რომ განსაკურებით სავალდებულო კურსების განმახორციელებელი პერსონალი, რომელთა სასწავლო კურსები გადიან სწავლის შედეგებზე, აუცილებლად უნდა იყოს ჩართული პროგრამის შემუშავებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმამა ელენე ჯღარკავამ აღნიშნა რომ ექსპერტებმა ნახეს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დანერგილია უნივერსიტეტში, შეუძლებელია ლექტორს არ ჰქონოდა წვდომა, თუნდაც ყოველ სემესტრულ შეფასებასთან, ვინაიდან შეფასება ხდებოდა ელექტორონულ პლატფორმაში. ასევე მან აღინიშნა, რომ პროგრამების ნაწილი კლასტერში იყო ახალი, შესაბამისად რამდენიმე განმახორციელებელი პირი გახლდათ ახალი აკადემიური პერსონალი, შესაძლებელია რომ სწორედ ამ მოცემულობასთან დაკავშირებით იყო საკითხი. საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ეჭვგარეშეა საკითხი, რომ ინსტიტუციაში პროცესი ზოგადად მიმდინარეობს მაღალ დონეზე, ვინაიდან მრავალწლიანი გამოცდილების მქონე და წარმატებულია, ასევე ცნობილია დაწესებულების დამოკიდებულება

მსგავს საკითხებზე, შესაბამისად, საგულისხმოა, რომ სწორედ ახალ პროგრამაზე აკადემიური პერსონალის იმპლემენტაციის მიზეზობრიობით იყო გამოწვეული ექსპერტთა შეფასება: რომ არ დასტურდებოდა მათი სიღრმისეული ჩართულობა პროცესში ზეპირი გასაუბრებით.
საბჭოს წევრს, ციური დურულს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, მას აინტერესებდა რეკომენდაციაზე, რომელიც სტუდენტების და კურსდამთავრებულების უფრო მეტ ჩართულობას მოითხოვდა, ხომ არ მიიჩნევდა ექსპერტები უფრო რჩევად და ასევე, აინტერესებდა რამ განაპირობა კონკრეტული შინაარსის რეკომენდაციის გაცემა.
ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია არგუმენტირებული პასუხის შემდგომ გადაიტანეს რჩევაში. რაც შეეხება აკადემიური პერსონალს, აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილი კარგად ერკვეოდა პროცესებში, ასევე ისინი პარალელურად ადმინისტრაციაში იყვნენ დასაქმებულები, ხოლო იყო შემთხვევები, როდესაც იგრძნობოდა რომ არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა იმ კულტურის შესახებ, რომელის უნივერსიტეტში არის დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ამიტომაც მიიჩნიეს ექსპერტებმა რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი ძალიან აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები მიმდინარე პროცესში.
საბჭოს წევრს, ციური დურულს კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, აქტიური ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რამდენად შეფასებადი იყო ის ზმნები, რაც ჰქონდა დაწესებულებას გამოტანილი და ასევე აინტერესებდა იყო თუ არა ხელისშემშლელი არსებული ზმნები, ასევე აღნიშნა, რომ ინგლისური ენის თარგმანში უფრო აქტიურად ჩანდა მითითებული ზმნა, ვიდრე ქართულენოვან პროგრამაში. ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ იგი დაეთანხმა დარგობრივი ექსპერტის მოსაზრებას კონკრეტული რეკომენდაციის გაცემის დროს, ასევე დაამატა რომ საჭირო იყო დაკვირვებადი და გაზომვადი ზმნების არსებობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ბორის ლეჟავამ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ არაერთხელ გაჟღერდა რომ აკადემიური პერსონალი უნდა იყოს ჩართული აკადემიური პროგრამების მოდიფიცირებასა და ინიცირებაში, დაწესებულება თავის მხრივ მიიჩნევდა, რომ ყველა აკადემიური პერსონალი უნდა იყოს ჩართული აღნიშნულ პროცესში და არამხოლოდ მიიჩნევს, არამედ პრაქტიკაშიც მაღალ დონეზე ახორციელებს. საბჭოს წევრმა ციური დურულმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია ეხება მხოლოდ ორი საგნის შედეგებს, ხოლო რეკომენდაცია ეხება მთლიან პროგრამას და არამხოლოდ ორ სილაბუსს, შესაბამისად სწორედ ეს გახდა მის მიერ ყურადღების გამახვილების საფუძველი.
საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა რომ მიესალმება წარმოდგენილ პროგრამებს და დამაზუსტებელი კითხვა გააჟღერა „მარკეტინგის“ სადოქტრო პროგრამასთან მიმართებით. მას ასევე კითხვა ჰქონდა ბაკალავრიატის პროგრამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა მიმდევრობა, რომელიც წარმოდგენილი იყო პროგრამაში და რომელიც ეხებოდა, ,,მარკეტინგის'' სწავლებას მეორე სემესტრში, ასევე ფინანსური აღრიცხვა და შემდგომ მენეჯმენტის საფუძვლები მესამე სემესტრში, საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად მისაღებად მიიჩნევდა დაწესებულება ამგვარ მიდგომას.
პროგრამის ხელმძღვანელის, დავით წიკლაურის თქმით, დაწესებულებამ მიიჩნია, რომ ,,სტრატეგიული მეჯემენტი'', ,,სტრატეგიული მარკეტინგი'', მარკეტინგის სპეციალობაზე გადატანილიყო მესამე წელს, ამით გარკვეული ვალდებულება ჩნდებოდა, რომ სტრატეგიაზე ჯგუფმა იმუშაოს კურსის დასრულებამდე, რამდენიმე საგანი, რომელიც ისწავლება მენეჯმენტის თუ მარკეტინგის მიმართულებით ინაწილებს აქცენტებს სტრატეგიაზე, როგორც ქეისები, ისე თეორიული მასალა. ასევე აღნიშნა, რომ პირველი საგანი რომელიც ისწავლება მარკეტინგის სპეციალობაზე, ზოგადია, ის ჩამოყალიბებაში ეხმარება სტუდენტებს ზოგად საკითხებთან დაკავშირებით და შემდეგ დეტალური მიმართულებით მომზადებული ხვდებიან კურსებს.
საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ მარკეტინგის სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ, კვლევითი ასისტირების ექვს კრედიტიანი სასწავლო კურსი იყო შემოთავაზებული, რომელიც დოქტორანტს აძლევდა საშუალებას

პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აეთვისებინა სრული სპექტრი, მასალების, სტატიების გაცნობით და შემდგომ მოქმედებათა ალგორითმი გაეთავისებინა, ეს მას წაადგებოდა კვლევით აქტივობაში, მას აინტერესებდა დოქტორანტი, სტატიების გაცნობისას, გარკვეულწილად იმ სფეროდან ეცნობოდა, რომელიც შემდგომ მისი კვლევითი მიმართულება იყო.
დაწესებულების წარმომადგენელმა ბორის ლეჟავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის ძალიან ღირებულია წარმოდგენილი პროგრამა. რაც შეეხება კვლევითი ასისტირების საკითხს, განმარტა რომ იდეალურ მდგომარეობაში, შესაძლებელი იყო, რომ ყოფილიყო თანხვედრაში, თუმცა მოცემული საკითხი ემსახურებოდა რომ დოქტორანტებს განუვითარდეთ კვლევითი აზროვნება,პროცესი და უმეტეს შემთხვევაში იქნებოდა სხვა მომიჯნავე არედან, რათა მომხდარიყო ინტერდისიციპლინარული კვლევის ჩამოყალიბებაც,, თუმცა არ გამოირიცხება არც ის მოცემულობა რომ მოხდეს თანხვედრა.
საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი ფართოდ იყო წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ რამოდენიმე სასწავლო კურსი ემსახურება კვლევითი უნარების გაღრმავებას, რაც იმის წინაპირობაა რომ დოქტორანტი სრულფასოვნად იქნება ფორმირებული, რათა მან შეძლოს მაღალი ხარისხის კვლევის ჩატარება. აღნიშნა, რომ ,,კვლევის მეთოდები'' ზოგადი, ორკრედიტიანი სასწავლო კურსი იყო, რომელიც შემდგომ ღრმავდებოდა რაოდენობრივი თუ თვისობრივი მიმართულებების სასწავლო კურსებით. საბჭოს წევრმა დაამატარომ თვისობრივ კვლევის საკითხთა ჩამონათვალში მან ვერ ნახა კომპიუტერულ პროგრამებთან შეხება, ის დაინტერესდა რომელ პროგრამასთან ჰქონდათ თანაკვეთა დოქტორანტებს, როემლიც მათ თვისობრივი მონაცემების დამუშვებაში დაეხმარებოდა.
ბორის ლეჟავამ აღნიშნა, რომ სტრუქტურას საბჭოს წევრი კარგად ჩაწვდა სწორედ ეს იყო აზრი რომ ეტაპობრივად სტუდენტი შევიდეს კვლევითი ცოდნის და უნარების გაღრმავებაში. ამგვარი სტრუქტურის ჩამოყალიბების საჭიროება დაწესებულებამ ასევე დაინახა სხვა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაგროვილი გამოცდილებით. კვლევის დიზაინი იყო სწორედ ის ძირითადი მიმართულება, რომელსაც შედგომ ეხმარება რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა. ორივე მიმართულების განცალკევება, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მარკეტინგში, რაც კვლევის ასისტირების საფუძველი იქნება და რეალურად დაეხმარება დოქტორანტს კვლევის სრულყოფილად ჩატარებაში.
საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ კიდევ ერთი კითხვა გააჟღერა კვლევის დიზაინის ცალკე სასწავლო კურსთან დაკავშირებით, რომელიც მისი შეფასებით მნიშვნელოვანი სასწავლო კურსი იყო. მან რჩევის სახით აღნიშნა რომ ძირითად ლიტერატურად ,,სონდერსის'' სახელმძღვანელო იყო მითითებული, რომელიც უფრო მეტად კვლევის მეთოდებზეა და რომელიც დაწესებულებას ასევე გამოყენებული აქვს კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში. საბჭოს წევრის აზრით, მითითებული სახელმძღვანელო, პირდაპირ არ მიემართება სასწავლო კურსს, შესაბამისად სასწავლო ლიტერტურის გამრავალფეროვნება კლასიკური სახელმძღვანელოთი, როგორიც არის, ჯონ კრესვილის ,,Research Design" წაადგებოდა სასწავლო კურსს. ის საშულებას მისცემდა დაწესებულებას სასწავლო კურსის თითოეულ თემას დიზაინიდან დანახული და ფორმირებული თეზისები, დებულებები მიუსადაგოს. დაწესებულების წარმომადგენელი, ბორის ლეჟავა დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას და რჩევას.
სხდომის თავმჯდომარეს, გოჩა თუთბერიძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან დასკვნაში გაკეთებულ ჩანაწერთან დაკავშირებით, კერძოდ დასკვნაში აღნიშნული იყო რომ ,,გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოხატეს შეშფოთება საგამოცდო პერიოდის გამოწვევებთან, კონკრეტულად გამოცდების გადასაბარებლად დამატებითი ფინანსური გადასახდის გამოწვეული ფინანსური სტრესის შესახებ'' შესაბამისად, მას აინტერესებდა რას იგულისხმებოდა მოცემულ ჩანაწერში.
ექსპერტმა ნათია გეგელაშვილმა აღნიშნა, რომ გაცემული რჩევა განპირობებული იყო იმით, რომ სტუდენტების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ გამოცდების პერიოდში იმყოფებოდნენ

სტრესის ქვეშ, ვინადიან გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, საკმაოდ სოლიდური თანხა იყო გადასახდელი, მათ ჰქონდათ თხოვნა, თუ შესაძლებელი იქნებოდა მოცემული თანხის ოდენობა შემცირებულიყო და ეს საკითხი გაეთავლისწინებინა უნივერსტეტს. ასევე დაამატა რომ სტუდენტები ხელშეკრულებებით ინფორმირებული იყვნენ, რომ საგნების გადაბარება ფასიანი იყო.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 16:10

**პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი)" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**პროგრამა 3: ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**პროგრამა 4: მარკეტინგის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**
**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის მარკეტინგის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის მარკეტინგის ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**პროგრამა 5: საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**პროგრამა 6: განათლების ლიდერობის და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "განათლების ლიდერობის და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "განათლების ლიდერობის და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**მეექვსე საკითხი**: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) "ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური**: ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: მენეჯმენტის ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა**: ინგლისური;
**კრედიტების რაოდენობა**: 184

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, უცხოელი ექსპერტის პოზიცია საბჭოს თარჯიმანმა გააცნო. წერილში აღნიშნული იყო რომ პროგრამის შეფასების პროცესი დაიწყო 2024 წლის სექტემბრიდან, ხოლო ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 ნოემბერს, რასაც თან მოჰყვა დასკვნის შემუშავება. შეფასების პროცესში შესწავლილ იქნა რიგი საკითხები, დაისვა კითხვები ინტერვიუირების დროს, ასევე გამოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია დასკვნის შემუშავების მიზნებისათვის. ექსპერტის თქმით, პროგრამა შემუშავებულია საფრანგეთის რენის სკოლასთან თანამშრომლობით, 2021 წელს, აკრედიტაცია მიიღო 2022 წელს და პირველი

მიღება განხორციელდა 2022-2023 სასწავლო წელს. ყველა მიგნება წარმოდგენილია დასკვნაში, შეფასებულ სასწავლო პროგრამას გააჩნია ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაბამისად გაცემული რეკომენდაციები და რჩევები გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხს. პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია როგორც 2+1 სწავლების მოდელი, რაც გულისხმობს პირველი ორი სასწავლო წლის განმავლობაში კავკასიის ბიზნეს სკოლაში სწავლას, ხოლო მესამე წელს რენის ბიზნეს სკოლაში სწავლის გაგრძელებას, სტუდენტებზე ორიენტირებულ მიდგომას და კავშირს კურსდამთავრებულებთან. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის კარგი თანამშრომლობა შედგა, თუმცა იყო გარკვეული სისუსტეები, რომელსაც უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უნივერისტემა. 1.2. და 1.4. კომპონენტებთან მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაციები: 1.2 რეკომენდაცია: ,,რეკომენდებულია, გადაიხედოს მე-2 და მე-5 სწავლის შედეგები უფრო სპეციფიკური დეტალების გასათვალისწინებლად, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს მათი გაზომვის მექანიზმები'' 1.4.: ,,რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო მოთხოვნის სახით დაემატოს "მენეჯმენტის საფუძვლები" და განისაზღვროს სპეციალიზებული მენეჯმენტის კურსების წინაპირობად''. ექსპერტებმა ასევე გაანალიზეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და მიიჩნიეს რომ არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, ელენე ჯღარკავა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ პროგრამაზე იყვნენ მესამე ეტაპის სტუდენტები, რომლებიც წასულები იყვნენ პარტნიორ უნივერსიტეტში მესამე წლის გასავლელად. რაც ნიშნავდა იმას, რომ პროგრამამ აკრედიტაციის გავლის შემდეგ, ოთხი წლის წინ, სრულფასოვნად დაიწყო ფუნქციონირება. პროგრამას კლასტერიდან გამომდინარე მოუწია რეაკრედიაცია. ასევე, გაითვალისწინეს წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რჩევები და რეკომენდაციები და მიმდინარე პერიოდში დარგობრივი დოკუმენტის მიხედვით შემუშავებული ცვლილებები. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა, შედეგებს, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ სასწავლო კურსები, შესაბამისი დონით პასუხობდენ თითოეული სასწავლო დონის შედეგს. რაც შეეხება მენეჯმენტის საფუძვლების სავალდებულო კურსად დამატებას, ვინაიდან აკრედიტებულ პროგრამას ჰქონდა საგნობრივი ბადე, რომელზეც სტუდენტები სწავლობდნენ, მეტწილად ფარავდა გარკვეულ საკითხებს, ასევე გასათვალისწინებელი იყო რომ ერთობრივი პროგრამის ფარგლებში თავსებადი უნდა ყოფილიყო რენის უნივერსიტეტის პროგრამასთან.
დაწესებულებას მიაჩნია, რომ დარგობრივი დოკუმენტით გათვალისწინებული საკითხები, იფარება ,,ორგანიზაციული ქცევის'' კურსში, მათ შორის, ასევე პროგრამაში იყო საგანი ,,სტრატეგია'' რომელსაც სწავლობდნენ სტუდენტები.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ 2019 წელს იმყოფებოდა რენის უნივერსიტეტში და მიაჩნია, რომ ყველა კარგი ბიზნეს სკოლა არის საფრანგეთში. მისი თქმით, საკმაოდ რთულია რენისთან ერთად გააკეთო ერთობლივი პროგრამა. შესაბამისად მიაჩნია, რომ პროგრამასთან დაკავშირებით ბევრი იყო ნაფიქრი და წარმატებები უსურვა ინსტიტუციას მის განხორციელებაში.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა რომ რაც უფრო მეტი ასეთი პროგრამა იქნება ქართულ საგანმანთლებლო სივრცეში, მით უკეთესი.
საბჭოს წევრმა ციური დურულმა აღნიშნა, რომ ექსპერტები მოითხოვენ ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას სწავლის შედეგების გაზომვასთან დაკავშირებით, შესაბამისად დაინტერესდა, ვინაიდან დოკუმენტაციიდან ჩანდა რომ მექანიზმები გამართული იყო, რა პრობლემა დაინახეს ექსპერტებმა ამ კუთხით და ხომ არ უნდა ჰქონოდა გაცემული რეკომენდაციას რჩევის სახე.

ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა რომ ვინაიდან პირდაპირ სტანდრტს ეხება სწავლის შედეგების გამართულობის საკითხი, ამიტომაც გაიცა რეკომენდაცია. გამომდინარე იქიდან რომ სწავლის შედეგები უნდა დადასტურდეს ინდიკატორებით, სწავლის შედეგი ორი, ფორმულირება: ,,პრაქტიკაში იყენებს მენეჯერული პოზიციის შესაბამის უნარ-ჩვევებს'' - უფრო მიზანია, ვიდრე სწავლის შედეგი. რაც შეეეხება მეხუთე სწავლის შედეგს: ,,აღწერს თუ რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა'' არსებობს ინდიკატორები, შესაბამისად მათში გლობალური მოქალაქეობრივი საკითხი ინდიკატორით არ იზომება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ ორ სწავლის შედეგთან მიმართებით ჩამოყალიბდა რეკომენდაციები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყებისდრო: 17:00 სთ**
**დასრულებისდრო: 17:20 სთ**
**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) "ბიზნესის ადმინისტრირების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $27^7$ პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.

**სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.**

**მეშვიდე საკითხი**: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**პროგრამა №1**
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ბიზნესის ადმინისტრირება
**საფეხური**: ბაკალავრიატი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა:** ქართული;

**კრედიტების რაოდენობა:** 240;

**პროგრამა №2**
**საგანმანათლებლოპროგრამის დასახელება:** ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა:** ინგლისური;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

აცილება განაცხადეს ქეთევან ნანობაშვილმა და თამარ ტუფინაშვილმა, აცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციისექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარმოედგინა პოზიცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
საერთაშორისო ექსპერტი, ჯგუფის თავმჯდომარე, მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების დროს გამოიკვეთა გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები კლასტერში დაჯგუფებულ ორივე პროგრამასთან დაკავშირებით. კერძოდ:
სტანდარტის 1.3. კომპონენტი ,,რეკომენდებულია უფრო დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება თითოეული შეფასების კონკრეტული მეთოდი, პერიოდულობა და პასუხისმგებელი მხარეები’’. სტანდარტის 1.5. კომპონენტი: ,,რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატური გადახედვის პროცესის დანერგვა, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე დარგის ექსპერტების ჩართულობით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების თანამედროვეობა და შესაბამისობა ინდუსტრიის საჭიროებებთან’’ ,,რეკომენდებულია სასწავლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების უფრო სტრუქტურირებული მიდგომის შემუშავება, კერძოდ: უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და სასწავლო კურსებში საერთაშორისო ქეისებისა და კვლევების შედეგების ინტეგრირება.’’ სტანდარტის 2.1. კომპონენტი: ,,რეკომენდებულია პროგრამებზე დაშვების წინაპირობების მკაფიოდ ჩამოყალიბება და დეტალურად განსაზღვრა იმ მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარების, რომლებიც აუცილებელია პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და პროგრამებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.’’

სტანდარტის 2.3. კომპონენტი: ,,რეკომენდებულია სანდო და ვალიდური სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება კურსის/პროგრამის შინაარსთან და გაცხადებულ სწავლის შედეგებთან. რეკომენდებულია პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა გამოყენებული აქტივობებისა და დავალებების ანალიზის კუთხით, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების/სტრატეგიების დეტალური აღწერა.'' სტანდარტის 3.1. კომპონენტი: ,,რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.'',,რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად''. სტანდარტის 4.1. კომპონენტი: ,,საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამები საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც საფუძველს იძლევა ითქვას, რომ პროგრამის ადამიანური რესურსი საჭიროებს დახვეწას, რისთვისაც უსდ-მ უნდა დაგეგმოს თანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდებზე.'' სტანდარტის 4.5. კომპონენტი: ,,რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გადახედოს პროგრამების ბიუჯეტებს.'' სტანდარტის 5.1 კომპონენტი: ,,რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამების თვითშეფასების პროცესებში სრულად და ამომწურავად გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დაგეგმოს აქტივობები და ვადები გასაუმჯობესებელი სფეროებისთვის. '',,რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სრულად დანერგოს "დაგეგმე-განახორციელე შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპი ყოველდღიურ საქმიანობაში და ჩაატაროს SWOT ანალიზი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული''.,,რეკომენდებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების/ინსტრუმენტების შემუშავება, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირების უზრუნველყოფა და მათი სათანადოდ განხორციელება''. სტანდარტის 5.2. კომპონენტი: ,,რეკომენდებულია პროგრამული აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება''.,,რეკომენდებულია პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფა როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე უცხოელი/ადგილობრივი დარგის პროფესიონალების მხრიდან.'' სტანდარტის 5.3. კომპონენტი: ,,რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად და ეფექტურად განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების გამოყენება.'' ,,რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად და ეფექტურად განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების გამოყენება.'',,რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმი.'',,რეკომენდებულია დაწესებულებამ ჩაატაროს მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ანალიზი უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასანერგად.'',,რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ძირითადი საგანმანათლებლო კურსი / საგანი თითოეული კურსის ბოლოს''. ,, რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა''.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, გიორგი სუბელიანი მიესალმა საბჭოს წევრებსა და მადლობა გადაუხადა ექსპეტებს გაწეული შრომისათვის. მან ბიზნეს ქეისებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე არაერთი სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება ბიზნეს ქეისების განხილვა, ასევე საგულისხმოა, რომ აკადემიურ პერსონალის ნაწილი თავად წარმაოდგენს ბიზნეს სფეროს და თავის გამოცდილებას უზიარებს

სტუდენტებს. ასვეე გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება ბიზნესის სფეროს წარმომადგენელების მოწვევა და სტუდენტებისათვის მათი გამოცდილების გაზიარება. დაწესებულების წარმომადგენელმა სტანდარტის 1.4. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალვრო ნაშრომის არჩევით კომპონენტად განსაზღვრა გამოწვეული იყო დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ზმნების ფორმულირებას და მის გადახედვას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ პროგრამის მიზანში გაწერილი აქვთ, რომ სტუდენტს ექნება ბიზნეს გარემოსა და რისკების შეფასების სწორი მარკეტინგული/მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების, მიმდინარე პროცესების ანალიზის შედეგად არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებისა და ჩამოყალიბების უნარი. პროგრამაში ლიდერობის სახით შემოთავაზებულია ორი სასწავლო კურსი, ხოლო სწავლის შედეგებში, უნარში, მითითებულია თუ რა უნდა შეძლოს ლიდერმა. შესაბამისად დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ითავლისწინებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანეელბის უფრო მეტ ჩართულობას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს მინიმუმ კვირაში ერთხელ აქვთ კომუნიკაცია მაგისტრანტებთან, ხოლო საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია კომუნიკაცია უფრო ხშირად შედგეს, ეს დამოკიდებულია თემის კომპლექსურობაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა სტანდარტის 1.5. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სილაბუსების გადახედვის საჭიროებას, აღნიშნა რომ ისინი ნაწილობრივ იზიარებენ გაცემულ რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით უნივერსტეტში არსებობს პერიოდულად სილაბუსების გადახედვის პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში ახალი ლიტერატურით განახლება. რაც შეეხება სტანდარტის 1.1. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც პროგრამაში ხდება პროგრამის მიზნების ჩამოყალიბება, ამ პროცესში აუცილლებლად ითვალისწინებენ დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროგრამის მიზნები და დაწესებულება ფიქრობს რომ პროგრამის მიზნები სრულად თანხვედრაშია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამომდინარე აქედან, დაწესებულებისათვის ბუნდოვანია გაცემული რეკომენდაცია. ასევე, სტანდარტის 1.1. კომპონენტთან გაცემულია რეკომენდაცია, რომ მიზნები ჩამოყალიბებული იყოს უფრო კონკრეტული გაზომვადი ზმნების გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმოამდგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს მოხდა დარგობრივი სტანდარტის გათვალისწინება. სწორედ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისადაა ორივე სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებული. ასეევ საგულისხმოა, რომ წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტების მიერ დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნები დაკავშირებული იყო პროგრამის სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, დაწესებულებისთვის ბუნდოვანია აღნიშნული რეკომენაციების გაცემის საფუძველი. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მეტი ყურადღების დათმობას საერთაშიროსი ასპექტებზე, ბიზნესიის სფეროს გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტის მომზადება არა მხოლოდ შიდა, არამედ საერთაშიროსო შრომითი ბაზრისთვისაც და პროგრაში ამ მხრივ ინტეგრირებულია სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც უშუალოდ ეხება ბიზნეს გარემოს საერთაშორისო საკითხებს. დაწესებულების წარმოამდგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიზნებში სამეწარმეო უნარჩვევების და აზროვნების ასახვას, აღნიშნა რომ ზუსტად ამ ტერმინოლოგიებით პროგრამის მიზნებში არ ჩანს აღნიშნული საკითხი, თუმცა, პროგრამის მიზნები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ის ავტომატურად გულისხმობს ,,სამეწარმეო უნარ-ჩვევებს და აზროვნებას'' ამას ადასტურებს პროგრამის შედეგებში ასახული უნარები, სადაც აღნიშნულია ,,განიხილავს სისტემური და

მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ბიზნეს ადმინისტრირების როლს მზარდი სარგებლის მიღების საშუალებას და კრიტიკული გააზრებით აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში და ასევე კომპეტენციის ფარგლებში იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას წარმოქმნილი გაუთვალისწიენებლი პრობლემების გადასაჭრელად." სტანდარტის 2.1. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც კანონმდებლობით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობების გათვალისწინებასთან ერთად, ასევე ხდება გასაუბრებები, სადაც კიდევ ერთხელ მოწმდება შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნა იმ მოთხოვნებს, რაც საბოლოოდ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვისაა აუცილებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით ,,რეკომენდებულია მიზნების გადახედვა, რადგან მათში არ არის მკაფიოდ ასახული თანამედროვე ბიზნესის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა, ინოვაციები და მეწარმეობა. ასევე რეკომენდირებულია მდგრადი განვითარებისა და გლობალური პერსპექტივების გათვალისწინებაც," აღნიშნა, რომ ისინი რეკომენდაციას ეთანხმებიან ნაწილობრივ, მისი თქმით, თუ ექსპერტები თვლიან რომ მიზნებში კარგად ჩანდეს რეკომენდაციაში განსაზღვრული საკითხები, ისინი ამას გააკეთებენ, თუმცა საგულისხმოა რომ რეკომენდაციით გათვალისწინებული საკითხები განხილულია საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა სტანდარტის1.4. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან: ,,რეკომენდებულია უფრო დაბალანსებული მიდგომა გაზრდილი არჩევითი საგნების შეთავაზებით, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ანალიტიკის მიმართულებით, რაც უკეთ უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას სტუდენტების მრავალფეროვან საჭიროებებთან და დინამიურად ცვალებადი ბიზნესის სამყაროს მოთხოვნებთან." აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების პროცესში შესაძლებელია მოხდეს არჩევითი საგნების გაზრდა, თუმცა ამ ეტაპზე ეს საჭირო არაა, ვინაიდან პროგრამის არჩევით და სავალდებულო კურსის საგნები სრულად აკმაყოფილებს დარგობრივი დოკუმენტით მოთხოვნილ სტანდარტს. რაც შეეხება რეკომენდაციით გათვალისწინებულ საკითხებს, სავალდებულო საგნად მესამე სემესტრში შეთავაზებულია სასწავლო კურსი, რომელიც ფარავს ყველა მიმდინარე საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებს იგი გაწერილია აბიტურიენტების ყოველწლიურ ცნობარში. ხოლო რაც შეეხება სამაგისტრო საფეხურზე მიღების წინაპირობებს, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მიღების წესი, რომელშიც გაწერილია რეკომენდაციით გათვალსწინებული საკითხები და იგი ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის, ასევე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სტანდარტის 3.1. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყო ერთი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და ერთი კურსდამთავრებული, რაც დასტურდება წარგდენილი ანაგრიშებითაც, შესაბამისად, მისი თქმით ექსპერტების დაბნეულობა გამოწვეული იყო იმით, რომ თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას არ ესწრებოდნენ სტუდენტები. რაც შეეხება სტანდარტის 3.2. კომპონენტთან გეცემულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი გაითვალისწინებენ რეკომენდაციას, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ რეკომენდაციაში განსაზღვრული საკითხი გარკვეულწილად უკვე გათვალისწინებულია თავად სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სპეციფიკიდან გამომდინარე. სტანდარტის 4.1. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგნელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ინსტიტუციის შიდა რეგულაციებთან. მათი კომპეტენცია, ასევე დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

შესრულებულია სამეცნიერო ნაშრომებით. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის და პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და განსაზღრავს აღმოჩენილ ნაკლოვანებებს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ასევე დაწესებულება ატარებს აკადემიური განვითარების ტრენინგებს, რაც ასევე ცნობილი იყო ექსპერტებისათვისაც. რაც შეეხება მეხუთე სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლასტერის პროგრამების თვითშეფასების ანგარიშში მოცემული იყო გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე მათ განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები და ვადები. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბოლო სამოქმედო გეგმაში. ასევე 5.1. ქვესტანდარტში გაცემულია კიდევ ერთი რეკომენდაცია:,,რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სრულად დანერგოს "დაგეგმე-განახორციელეშეამოწმე-იმოქმედე" პრინციპი ყოველდღიურ საქმიანობაში და ჩაატაროს SWOT ანალიზი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული'' აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომდგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს რეკომენდაციით გათვალისწინებულ პრინციპებს ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე უნივერსიტეტში შექმნილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი, რომელშც შედის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, ასევე სტუდენტთა თვითმმართველობის წარმოამდგენელი და ა.შ. სტანდარტის 5.1. კომპონენტთან არსებულ რეკომენდაციასთან: ,,რეკომენდებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების/ინსტრუმენტების შემუშავება, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირების უზრუნველყოფა და მათი სათანადოდ განხორციელება'' დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკოემდაციით გათვალისიწნებული საკითხები უნივერსიტეტი სტარტეგიული პრიორიტეტია და 2025-2031 წლის სტრატეგიულ გეგმაშია გაწერილი, დაწესებულება ელექტორნული/დისტანციურ სწავლებას არ ახორციელებს. მსგავის სწავლების მეთოდის გამოიყნებოდა კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვით, რა დროსაც დაწესებულებამ წარმატებით გაართვა თავი დისტანციურ სწავლებას. 5.2. სტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან: ,,რეკომენდებულია პროგრამული აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება.'' დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მოტივირებულია, რომ გაითვალისწინოს ყველა აკრედიტაციისა თუ თავად ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები. საგულისხმოა, რომ წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები სრულად იქნება გაზიარებული, რაც დადებითად შეფასდა ექსპერეტბის მხრიდან. რაც შეეხება 5.2. სტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციას ,,რეკომენდებულია პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფა როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე უცხოელი/ადგილობრივი დარგის პროფესიონალების მხრიდან'' ასევე სტანდარტის 5.3. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციას ,,რეკომენდებული დაწესებულებამ ჩაატაროს მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ანალიზი უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასანერგად", დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც დაწესებულება აქტიურად მუშაობს და მათთვის მნიშვნელოვანია რეკომენდაციის გათვალისწინებული საკითხების უმოკლეს ვადებში განხორციელება. მისი თქმით ექსპერტთა ვიზიტისას წარმოდგენილი იყო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ უნივერსიტეტს ყველაზე წარმატებული პრაქტიკები ჰქონდა გაზიარებული და დანერგილი უნივერსიტეტში.

სტანდარტის 5.3. კომპონენტთან გაცემულ რეომენდაციასთან:,,რეკომენდებულია პროგრამების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმი'', დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშვებული

აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, როემლიც ატვირთულია ვებ-გვერდზე, რის საფუძველზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამების შეფასებას. სტანდარტის 5.3. კომპონენტთან გაცემულ რეკომედაციასთან: ,,რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) მირითადი საგანმანათლებლო კურსი / საგანი თითოეული კურსის ბოლოს.'' დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ყოველსემესტრულად აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ სასაწავლო კურსის ლექტორები. გამოკითხვის ფორმები, და შედეგები ხელმისაწვდომი იყო ექსპერტებისთვისაც. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გამოკითხვები ტარდება ელექტრონულად. რეკომენდაციასთან: ,,რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა'' დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგნელმა აღნიშნა, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ, როგორც პროგრამა ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელი და ეს შეფასება ასახულია პროგრამაში, რომელიც ცნობილი იყო ექსპერტებისათვისაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს უცხოეთში მოქმედ 12 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი, ხოლო დამატებით კიდევ 12 უნივერსიტეტთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ასევე, წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში ჰონგკონგის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომლის ფარგლებშიც ჰონგკონგის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები ჩაერთვებიან საერთაშიროს კვირეულში, ჩატარდება ლექციები და სემინარები რაც შესაძლებლობას მისცემს პროფესორებს, შეიძინონახალი გამოცდილებებიდა გაუზიარონ სტუდენტებს. რაც შეეხება ტრენინგებს და კონფერენციებს, დაწესებულების წარმომადგნელის თქმით, უნივერსიტეტში საკმაოდ ხშირად ტარდება კონფერენციები, ტრენინგები და საჯარო ლექციები.
ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია დაწესებულების მზაობა, რომ მუშაობს და ცდილობს გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. მან აღნიშნა, რომ საბაკალვრო ნაშრომში სწავლების მეთოდების შეფასებასა და და სწავლებას შორის კავშირი საკმაოდ რთულია, ასევე სწავლის შედგებში უნდა აისახოს საბაკალვრო და სამაგისტრო ნაშრომები. ექსპერტებმა იხილეს საკმაოდ სუსტი ნაშრომები, რომელიც მიუთითებს პერსონალის მიერ საკითხის ან არცოდნაზე ან თავიანთი ვალდებულებების არაჯეროვნდ შესრულებაზე. შესაბამისად სწორედ აღნიშნული საკითხი გახდა ექსპერტების მიერ რეკომენდაციების გაცემის საფუძველი. ექსპერტებმა დასკვნაში ასევე აღნიშნეს, რომ საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომებში აუცილებელი იყო კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენება. ასეევ ექსპერტმა აღნიშნა რომ დაწესებულებას პროგრამაში გათვალისწინებული აქვს დამატებითი საკითხები თუმცა დამატებითი უნარების განმავითარებელი ლაბორატორია, ჰაბი ან რაიმე უნივერსიტეტს არ აქვს. ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ვიზიტის შემდგომ აქვს წინგადადგმული ნაბიჯები, რომელიც მხოლოდ მისასალემებელია, თუმცა საგულისხმოა რომ ექსპერტები დასკვნის წერის დროს დაეყრდნენ ვიზიტის დროს არსებულ მდგომარეობას. ასევე, ექსპერტებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ სააკრედიტაციო პაკეტი, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა მომზადებული არ იყო ამჟამინდელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ, ვინაიდან მას არ ჰქონდა ინფორმაცია ბოლომდე იმასთან დაკავშირებით, თუ რა დოკუმენტებზე მუშაობნენ ექსპერტები. ასევე საგულისხმოა, რომ გასაუმჯობესებელი მხარეებიი დაწესებულებას არ ჰქონდა მითითებული ყველა სტანდარტთან დაკავშირებით, თმცა დაწესებულება აღნიშნავს რომ მითითებული იყო ყველა სტანდარტთან დაკავშირებით. ექსპერტები ვერ გაითვალისწინებდნენ ვიზიტის შემდგომ მდგომარეობას დასკვნის წერის დროს. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გარე შეფასების დროს გაცემული რეკეოდმაციების შესრულება, რადგან გარე შეფასების მიზანია, საგანმანათლებლო პროგრამების და ზოგადად უნივერსიტეტის გაუმჯობესება. საგულისხმოა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს მიერ გაცემული იყო

რეკოემდაცია, რომ საბაკალავრო ნაშრომი უნდა ყოფილიყო პროგრამაში გათვალისწინებული, რასაც ასევე მოითხოვს დარგობრივი მახასიათებელი.
ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა მეორე სტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებთ აღნიშნა, რომ ვიზიტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იყო კონსტრუქციული და საქმეზე ორიენტირებული, თუმცა იგივეს თქმა მას არ შეუძლია დაწესებულების მიერ წარმოადგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ დაწესებულებას ვიზიტის შემდგომ აქვს დაზუსტებული გარკვეული საკითხები რომლებიც რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა ასახული დასკვნაში, შესაბამისად არ არის რელევანტური ამ საკითხებზე აკრედიტაციის წარმოების მიმდინარე ეტაპზე მსჯელობა. თუმცა მისასალმებელია დაწესებულების მზაობა შეასრულოს ყველა რეკომენდაცია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია, პროგრამაზე დაშვება შესამლებელია, როგორც ინგლისური, ასევე გერმანული და ფრანგული ენებით, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზანია ინგლისური ენის სწავლება და 30 კრედიტი ეთმობა ინგლისური ენის სწავლებას სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში. ექსპერტების მიერ დასმული იყო კითხვა რა ხდებოდა იმ შემთხვევაში ვინც მაღალი დონის ინგლისური ენით ჩაირიცხებოდა პროგრამაზე და არ საჭიროებდა დაწყებითი საფეხურიდან ენის სწავლას, რომელიც პროგრამაში სავალდებულო საგნად იყო მითითებული. ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტები დაინტერესდნენ ენის კომპეტენციის დადასტურების მექანიზმის არსებობასთან დაკავშირებით, ექსპერტებს ჰქონდათ კითხვები, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში თუ კი პროგრამაზე ცაირიცხებოდა ქართული ენის არმცოდნე სტუდენტი. ექსპერტის თქმით მან ვერ მიიღო დაწესებულებისგან ზემოთ მოცემულ საკითხებზე შესაბამისი პასუხები.
ექსპერტმა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებს სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებითაც ჰქონდათ მსგავსი კიტხვები, რაც საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით. მისი თქმით როდესაც სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხვის უფლება აქვს განსხვავებული პროფესიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს სასურველია მიეთითოს თუ რა საკითხებზე მოხდება სტუდენტებთან გასაუბრება და რა დონის დარგის ცოდნა უნდა დაადასტურონ აპლიკანტებმა. ვიზიტის დროს გასაუბრების დროსაც არ გამოიკვეთა ყველა ეს დეტალი. რაც შეეხება შეფასების მეთოდებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, დაწესებულება აღნიშნავს, რომ ტარდება ტრენინგები, რომ პროგრამებში ცვლილებებია შესული, რაც მისასალმებელია, თუმცა, როდესაც საუბარია შეფასების მეთოდებზე, ექსპერტებმა იგულისხმეს, რომ კომპეტენციის შეფასება და დადასტურება უნდა ხდებოდეს ვალიდური მეთოდით. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ აკადემიური წერის სილაბუსი მათ შორის სამაგისტრო საფეხურზე შინაარსობრივად კარგია თუმცა მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა ფასდებოდეს აკადემიური წერა ზეპირი გამკითხვით და დისკუსიით, მაშინ როდესაც შესაძლებელია და სილაბუსის მიზანშიც აღნიშნულია, რომ ,,აკადემიური წერისთვის სამეცნიერო ტექსტის შემუშავებითვის მომზადება'', შესაბამისად მარტივია შეფასებისათვის გამოყენებული იყოს სამეცნიერო პუბლიკაციის ტექსტის ანალიზი. ექსპერტის თქმით, მსგავსი ხარვეზები ბევრია პროგრამაში და სწორედ ეს იყო საფუძველი სწვალის შედეგების შეფასებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების. ასევე ექსპერტის თქმით, საგულისხმოა, რომ არც სტრატეგიული მენეჯმენტი და არც პერსონალის მართვა, კომპეტენციის დადასტურების ჭრილში არ ფასდება ქეისების ანალიზით. ასევე მისი თქმით, დარგობივ მახასიათებელთან შესაბამისობის საკითხიც დარღვეულია, გარკვეული საკითხები მაგალითად დარგობრივი დოკუმენტით ,,ლიდერობა'' განსაზღვრულია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი უნარი კურსდამთავრებულისათვის, თუმცა პროგრამაში ,,ლიდერობის ხელოვნება'' განსაზღვრულია არჩევით საგნად. ასევე წარმოდგენილია ორი სილაბუსი, ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი, როელიც არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისგან. შესაბამისად მისთვის

გაუგებარია, რატომ იყო ერთი და იგივე სასწავლო კურსი რომელიც ორ ენაზე ხორციელდება ერთმანეთისგან არსებითად განსახვავებული, აღნიშნულ საკითხთან დკავშირებით კი მას ვიზიტის დროს პასუხი არ მიუღია დაწესებულებისგან.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულებას და ექსპეტებს, მას კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ის დაინტერესდა რა იყო ექსპერტების მხრიდან რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ექსპერტემა ეკა გეგშიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლობს რაოდენობრივად ცოტა სტუდენტი, ხოლო ბიუჯეტში ჩანდა რომ შემოსავლები იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის, თუმცა ბიუჯეტში არ ჩანდა რა წყაროებიდან ხდებოდა მისი შევსება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა სტანდარტის 5.3. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კერძოდ, ,,რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმი'' მან კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, გაცემული რეკომენდაციის შინაარსი ხომ არ უშლიდა ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ყველა რესურსის საქმიანობის შეფასება, რომელიც მოიცავს მათ შორის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებასაც. თუმცა შეფასების ფორმები და ანგიშები ვერ ნახეს ექსპერტებმა, ასევე ვერ დადგინდა გასაუბრების დროსაც თუ როგორ ხდებოდა შეფასება, არსებობს სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, სადაც ირიბად ხდება ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება, თუმცა ინდივიდუალურად ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება არ ხორციელდება და სწორედ აქეთკენ იყო მიმართული კონკრეტული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, ექსპერტებს გაცემული აქვთ კლასტერული რჩევა: ,,სასურველია პროგრამების გასაუმჯობესებლად მიზნების გადახედვა უფრო კონკრეტული და გაზომვადი შედეგების გათვალისწინებით'', ასევე საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულია რეკომენდაცია: ,,რეკომენდებულია პროგრამის მიზნები უფრო კონრეტული იყოს გაზომვადი შედეგებით.'' შესაბამისად, მას იანტერესებდა რამ გამოიწვია საკითხების განმეორება და ხომ არ ჰქონდა ადგილი ტექნიკურ ხარვეზს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მუჰამედ აბდულ რაუფმა აღნიშნა, რომ არის ზოგადი რეკომენდაციები, რომელიც ეხება ორივე პროგრამას და ასევე გაცემულია კონკრეტული რეკომენდაციები რომელიც მიემართება ინდივიდუალურ პროგრამებს. ასევე მან აღნიშნა, რომ სავალდებულო შესასრულებლად კონკრეტული საკითხი მათ გაცემული აქვთ რეკომენდაციის ფორმით. საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ ექსპერტებს ჰკითხა, დაახლოებით რა დრო დასჭირდებოდა დაწესებულებას რეკომენდაციების შესაბამისად გადაემუშავებინა პროგრამების მიზნები და სწვალის შედეგები. ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თუ კი დაწესებულება რეალურად იმუშავებდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გადამუშვებაზე, მათ დაახლოებით მინიმუმ ექვსი თვე დასჭირდებოდათ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე დაამატა, რომ მათი მხრიდან ზუსტი დროის დასახელება რთულია, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ არ მოახდინოს უბრალოდ პერიფრაზირება მხოლოდ ტექსტობრივად ცვლილებების შეტანა. მათ იმედი აქვთ რომ დაწესებულება შესაბამის ცვლილებს განახორციელებს შინაარსობრივად, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ასევე უნდა გადაამუშაოს კურიკულუმის რუკები, ვინადაინ შეუძლებელია პირველი სემესტრის სასწავლო კურსები გადიოდეს პირველ, მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე სწავლის შედეგებზე სამივე დონით.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ ის გაეცნო შრომის ბაზრის ანალიზს და ჩამოუყალიბდა მოსაზრება რომ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მოთხოვნის ზრდაზე თითქმის ვერ მოახდენს გავლენას ჭკვიანი

ტექნოლოგიების განვითარება. ასევე მეორე თეზისი, რომ დაფიქსირდა ცხადად მაღალი მოთხოვნა საწარმოებში პროექტებზე მუშაობის მიმართ, რაც მისი მოსაზრებით გულისხმობს პროგრამის გამოპასუხებას პროექტის მართვის სასწავლო კურსის მიწოდებაზე. აღნიშნა რომ საბაკალვრო პროგრამაში ამგარი სასწვალო კურისი იყო, რაზედაც აღნიშნა ექსპერტმა თავის დროზე და შეფასების შესაბამისობის საკითხი დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. მისი თქმით, პროგრამაში მოცემული კურსი ისწავლება მესამე სემესტრში, მანამდე მითითებული იყო მენეჯმენტის საფუძვლები და შემდგომ პროექტების მართვა მოყვება, ხოლო აუცილებელი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე ცნობილია, რომ კრებითი სასწავლო კურსის ათვისება მნიშვნელოვანია რომ სტუდენტს ჰქონდეს ცოდნა ისეთ დარგებში, როგორც არის ფინანსები, მარკეტინგი, მთლიანობაში, ბევრი სასწვლო კურის შედეგია მისაღწევი იმისათვის, რომ კონკრეტული სასწალო კურსი ისწავლებოდეს და შედეგი მიიღწეოდეს. შესაბამისად მან რჩევის სახით აღნიშნა, რომ ხომ არ იქნებოდა უმჯობესი ისწავლებოდეს აღნიშნული სასწავლო კურსი, რათა მოხდეს მისი წარმატებული ათვისება, მისი გადატანა მოხდეს მოგვიანებით საბაზისო ცოდნის კურსების გავლის შემდგომ. რაც შეეხება სამაგისტრო პრგორამას, საბჭოს წევრმა, აღნიშა რომ პროგრამაში ისწავლება სასწავლო კურსი ოპერაციათა მენეჯმენტი, რომელიც უნდა გაძლიერდეს სწავლების საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე მან აღნიშნა რომ საბაკალავრო პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსებში მოცემულია საბაკალავრო ნაშრომი, რაც გულისხმობს რომ სტუდენტს შესაძლებლო აქვს გააკეთოს კვლევითი ნაშრომი, ის დაინტერესდა, თუ სტუდენტი აირჩევს საბაკალავრო ნაშრომს, ექნება თუ არა მას წარმოდგენა კვლევის მეთოდოლოგიაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის უძღვება პროექტების მენეჯმენტის კურსს, რომელიც თავიდან იყო მხოლო თეორიული შინაარსის, ხოლო რეკომენდაციის შედეგად სასწავლო კურსი განმტკიცდა პრაქტიკული ნაწილითაც. რაც შეეხება შეფასების ნაწილს, მისი თქმით, მხოლოდ თეორიული ნაწილის ცოდნით არ ფასდება სასწავლო კურსი, როგორც მან აღნიშნა, 20 ქულით ფასდება თეორიული ნაწილი ხოლო 20 ქულა ეს არის ორი 10 ქულიანი დავალების შესრულება კომპიუტერტთან. რაც შეეხება კურსის ადგილს პროგრამაში, მან აღნიშნა, რომ წინაპირობად სტუდენტებს შესწავლილი აქვთ მენეჯმენტის საფუძვლები, რაც ეხმარება მათ პროექტების მენეჯმენტის შესწავლაში. მან ასევე აღნიშნა რომ პროგრამაში გათვალისიწნებულია სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავს კვლევის მეთოდებს, რომელიც არის წინაპირობა საბაკალავრო ნაშრომის, რომლის არჩევაც შეუძლია სტუდენტს. ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია აკადემიური წერა, სტატისტიკა, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების სილაბუსი, რომელშიც ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი და კეთდება შესაბამისი გზამკვლევები. ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილამა აღნიშნა, რომ პროექტების მართვის სილაბუსის ავტორი პრაქტიკის განმახორციელებელთან ერთად უძღვება კურსს, მისი თქმით, სილაბუსში არ არის მითითებული ,,soft'' და არანაირი დავალებები არ სრულდება კომპიუტერთან, ასევე არ არის გათვალისწინებული ქეისები, შესაბამისად გადასამუშავებელია სილაბუსი.

საბჭოს წევრმა ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობით ნაწილში წერია, რომ პროგრამა წარმოდგენილია 90 სასწვალო და 30 კვლევითი კრედიტის მოცულობით და 12 ან 15 კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს, რაზედაც რეკომენდაცია იყო გაცემული რომ გაიზარდოს არჩევითი სასწალო კურსების ოდენობა, შესაბამისად მას აინტერესებდა რა იყო რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ასევე მან აღნიშნა, რომ ექსპერტები დასკვნის სტრუქტურის აღწერილობით ნაწილში აღნიშნავენ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია თუმცა ამავე დროს დასკვნაში არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის შემცირებაზე ხდება მითითება. ასევე საბჭოს წევრს კითხვა ჰქონდა სტანდარტის 3.2. კომპონენტთან გაცემულ რეკომედაციასთანდ დაკავშირებით. კერძოდ რას გულისხმობდნენ ექსპერტები კვლევითი კომპონენტის გაზრდაში ამ კონკრეტული მიმართულებით. ექსპერტმა ეკა გეგშიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში კვლევის მეთოდოლოგია არ არის გამოყენებული. ექსპერტები გულისმობდნენ რომ ყურადღება მიექცეს კვლევის მეთოდების გამოყენებას, რომელიც ადეკვატურად უნდა იყოს ასახული პროგრამებში. რაც შეეხება არჩევით

საგნების გაზრდას, ექსპერტმა აღნიშნა რომ მნიშვნელოვანია სტუდენტებს მათი ინტერესების შესაბამისად ჰქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ სასწალო კურსები. ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტები აპელირებდნენ არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნებაზე. ასევე, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილმა ნაშრომებმა გააჩინა ექსერტებში კითხვა თუ რა მექანიზმი აქვს უნივერსიტეტს იმ შემთხვევაში თუ კი მაგისტრანტი არ ასრულებდა ხელმძღვანელის მითითებებს, და საჭირო იყო თუ არა ხელმძღვანელის საბოლოო შეფასება დაცვაზე გატანამდე. საბჭოს წევრი ციური დურული ასევე დაინტერესდა პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით, კონკრეტულად მათემატიკის ნაწილში რა ზღვარი უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საიტზე იყო გამოქვეყნებული დაშვების წინაპირობები, თუმცა ვიზიტის დროს არ ყოფილა მსგავი საკითხები ნათელი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 18:55**
**დასრულების დრო: 19:40**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 თებერვლამდე, 1 წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი- 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ$^1$" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 26 თებერვლამდე, 1 წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 თებერვლამდე, 1 წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრისშედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი- 0

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ$^{1}$“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 26 თებერვლამდე, 1 წლის და 6 თვის თავზე მონიტორინგის პირობით.

**საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 26 თებერვლის 19:44 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა